



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



25/07/2019

12-07-4-201907251712



N 12

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №12
2019 წლის 25 ივლისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში (ვებგვერდი 27.12.2018, სარ. კოდი:190020020.35.112.016397) და დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-15, მე-16, მე-17, მე-19 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
1. შემოსავლები	16 602,8	16,796.4	16,163.5	9,434.6	6,728.9
გადასახადები	1 559,7	2,437.5	8,280.8	8,280.8	-
გრანტები	14 085,2	13,337.2	6,948.9	220.0	6,728.9

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
სხვა შემოსავლები	957,8	1,021.6	933.8	933.8	-
II. ხარჯები	8 214,3	10,769.8	10,233.6	9,747.9	485.6
შრომის ანაზღაურება	1 561,0	4,318.5	4,878.8	4,878.8	-
საქონელი და მომსახურება	953,3	3,413.9	4,102.4	3,733.6	368.8
პროცენტი	-	53.7	38.0	38.0	-
სუბსიდიები	5 082,7	405.0	357.6	357.6	-
სოციალური უზრუნველყოფა	334,6	555.8	548.7	548.7	-
სხვა ხარჯები	282,7	2,022.9	308.0	191.2	116.8
III. საოპერაციო საღდო	8 388,5	6,026.6	5,929.9	313.4	6,243.3
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 779,3	7,615.2	7,826.4	450.9	7,375.5
ზრდა	4 829,9	7,803.6	8,133.3	757.8	7,375.5
კლება	50,5	188.4	306.9	306.9	-
V. მთლიანი საღდო	3 609,2	- 1,588.6	- 1,896.4	- 764.2	- 1,132.2
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	3 338,7	- 1,588.6	- 1,918.4	- 786.2	- 1,132.2
ზრდა	3 618,2	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	3 618,2	-	-	-	-
კლება	279,5	1,588.6	1,918.4	786.2	1,132.2
ვალუტა და დეპოზიტები	279,5	1,588.6	1,918.4	786.2	1,132.2
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 270,4	-	- 22.0	- 22.0	-
კლება	270,4	-	22.0	22.0	-
საშინაო	270,4	-	22.0	22.0	-
სესხები	-	-	22.0	22.0	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	270,4	-	-	-	-
VIII. ბალანსი	- 0,0	- 0.0	- 0.0	- 0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	16,653.3	16,984.8	16,470.4	9,741.5	6,728.9
შემოსავლები	16,602.8	16,796.4	16,163.5	9,434.6	6,728.9
არაფინანსური აქტივების კლება	50.5	188.4	306.9	306.9	-

გადასახდელები	13,314.6	18,573.4	18,388.8	10,527.7	7,861.1
ხარჯები	8,214.3	10,769.8	10,233.6	9,747.9	485.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,829.9	7,803.6	8,133.3	757.8	7,375.5
ვალდებულებების კლება	270.4	-	22.0	22.0	-
ნაშთის ცვლილება	3,338.7	- 1,588.6	1,918.4	786.2	1,132.2

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 16163,5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	16,602.8	16,796.4	16,163.5	9,434.6	6,728.9
გადასახადები	1,559.7	2,437.5	8,280.8	8,280.8	-
გრანტები	14,085.2	13,337.2	6,948.9	220.0	6,728.9
სხვა შემოსავლები	957.8	1,021.6	933.8	933.8	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6948,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	14,085.2	13,337.2	6,948.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	17.5	- 1.5	
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	14,067.7	13,338.7	6,948.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,354.2	6,238.6	
მიზნობრივი ტრანსფერი დედეგორებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	220.0	220.0	220.0
კაპიტალური ტრანსფერი	3,510.3	4,515.1	4,796.8
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	4,983.2	2,365.0	1,932.1
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	4,737.1	2,262.3	110.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	140.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები			748.0
სხვა სახის ტრანსფერები	106.2	102.7	1,074.1

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 10233.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	8,214.3	10,769.8	10,233.6	9,747.9	485.6
შრომის ანაზღაურება	1,561.0	4,318.5	4,878.8	4,878.8	-
საქონელი და მომსახურება	953.3	3,413.9	4,102.4	3,733.6	368.8
პროცენტები	-	53.7	38.0	38.0	-
სუბსიდიები	5,082.7	405.0	357.6	357.6	-
სოციალური უზრუნველყოფა	334.6	555.8	548.7	548.7	-
სხვა ხარჯები	282.7	2,022.9	308.0	191.2	116.8

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7203,6 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 7510,5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 306,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	21.7	26.6	78.5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	21.7	26.6	78.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3,990.4	7,113.7	5,558.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,987.3	5,193.2	3,156.9
02 02	წყლის სისტემების განვითარება	-	416.2	1,101.5
02 03	გარე განათება	3.5	-	50.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	124.2	91.2	111.2
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	358.3	25.0	0.6
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	12.7	287.8	389.5
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	504.4	1,100.3	0.8
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა			748.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	-	177.4	6.5
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	19.0	6.5
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	158.4	-
04 00	განათლება	619.8	36.2	59.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	39.0	6.0	59.5
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია,			

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
	მშენებლობა	580.8	30.1	0.4
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	119.7	372.1	1,621.9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	77.3	353.4	1,601.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	42.4	18.7	20.4
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	78.3	77.7	185.3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	78.3	77.7	185.3
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	4,829.9	7,803.6	7,510.5

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	50.5	188.4	306.9
ძირითადი აქტივები	30.8	156.2	50.0
არაწარმოებული აქტივები	19.8	32.2	256.9
მიწა	19.8	32.2	256.9

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,482.5	2,476.4	2,922.9
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,482.5	2,476.4	2,884.9
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,482.5	2,476.4	2,867.1
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	17.9
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	-	38.0
7.2	თავდაცვა	108.4	122.3	130.4
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	108.4	122.3	130.4
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	3,005.6	5,272.4	3,292.3
7.4 5	ტრანსპორტი	3,005.6	5,272.4	3,292.3
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,005.6	5,248.2	3,266.7
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	24.2	25.6
7.5	გარემოს დაცვა	587.5	780.8	919.4
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	587.5	780.8	919.4
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1,856.9	4,486.6	2,976.3

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
7.6 1	ბინათმშენებლობა	368.7	2,036.8	234.2
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	158.4	-
7.6 3	წყალმომარაგება	-	447.2	1,145.5
7.6 4	გარე განათება	541.2	318.1	353.8
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	947.0	1,526.2	1,242.8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	201.2	198.8	328.1
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	201.2	198.8	328.1
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,809.4	2,413.8	3,710.3
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	791.4	1,312.7	2,549.5
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	978.0	1,061.1	1,120.9
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	40.0	40.0
7.9	განათლება	2,526.7	2,231.8	3,501.9
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,526.7	2,220.4	2,500.4
7.9 2	ზოგადი განათლება	-	11.4	1,001.6
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	-	11.4	1,001.6
7 10	სოციალური დაცვა	466.0	590.3	585.1
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	98.4	106.3	90.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.2	0.6	2.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	42.6	45.3	47.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	20.0	30.0	36.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	304.8	408.2	410.1
	სულ	13,044.2	18,573.4	18,366.8

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 1896.4 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 5929.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	8,388.5	6,026.6	5,929.9
მთლიანი სალდო	3,609.2	- 1,588.6	- 1,896.4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1918,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	3,338.7	- 1,588.6	- 1,918.4
ზრდა	3,618.2	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	3,618.2	-	-
კლება	279.5	1,588.6	1,918.4
ვალუტა და დეპოზიტი	279.5	1,588.6	1,918.4

ფინანსური აქტივების კლება 1918.4 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2019 წლის განმავლობაში.

თავი II. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6260,2 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,260.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,266.7
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	3,156.2
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	105.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	5.5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,145.5
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1,101.5
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	44.0
02 03	გარე განათება	353.8
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	353.8
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	234.2
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	110.0
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	124.2
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	90.7
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	12.0
02 06 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	78.7
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	25.6
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	394.8
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.8
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	748.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		3156,2

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის გზები, რომლებსაც წლების განმავლობაში არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ასევე არ მომხდარა მათი მიმდინარე შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რემონტი შემდეგ ლოკაციაზე: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზის აღდგენა შუხუთის, ნიგოთის, ლესის, აკეთის, აცანის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, მამათის ნინოშვილი, სუფსის, ჩოჩხათის და ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულები ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა, მამათის, ჩიბათის, მახვარეთის, აკეთის, აცანის, შუხუთის, ღრმაღელის, გვიმბალაურის, ჩოჩხათის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულსი მარჯანიშვილის, გოგიჩაიშვილის და ურუშაძის ქუჩებზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა.</p>
მიღწეული შედეგი	<p>ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზა იქნება სრულად რეაბილიტირებული. რეაბილიტირებული გზები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. 2019 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს 2791 ადგილობრივი მოსახლე და ტურისტი, მათ შორის 2150 ადგილობრივი მცხოვრები 641 ტურისტი. შუხუთის, ნიგვზიანი, ჩოჩხათის, ჩიბათის, ნიგოთის და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხიდები და მილხიდები იქნება რეაბილიტირებული. რეაბილიტირებული ხიდები და მილხიდები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. რეაბილიტაცია დაიწყო 2018 წელს. ამ ხიდებით და მილხიდებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კონფორტული. 2019 წელს რეაბილიტირებული ხიდებით და მილხიდებით საერთო ჯამში ისარგებლებს 2500 ადგილობრივი მოსახლე და მგზავრი. მათ შორის, 1000 ადგილობრივი მოსახლე და 1500 მგზავრი.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 01 02	<i>გზების მიმდინარე შეკეთება</i>	დაფინანსება ათას ლარში 105
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასაფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორების და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად</p>		

მიღწეული შედეგი	ქ. ლანჩხუთში, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2019 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.
-----------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		5,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინდივიდუალური პროექტირების ფარი ვიდეო კონტროლის (600X900) 21 ცალის და ინდივიდუალური პროექტირების ფარი ვიდეო კონტროლის (900X1250) 4 ცალის შექმნა და ინსტალაცია		
მიღწეული შედეგი	ფარი ვიდეო კონტროლების შექმნა, დამონტაჟება განაპირობებს ტრანსპორტის და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას		

პროგრამის დასახელება	კოდ	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		1145,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან.</p> <p>მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედეგია 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p>		

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.
----------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<i>წყლის სისტემის რეაბილიტაცია</i>	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		1101,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სოფლები რომლებშიც წლების განმავლობაში არ ჩატარებულა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, ასევე არ მომხდარა მათი მიმდინარე შეკეთება. პროექტის ფარგლებში ხორციელდება სათავე-ნაგებობების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეული სუფსის ადმინისტრაციულ ერთეული ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეული		
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარდება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (მოეწყობა სათავე ნაგებობები, მოეწყობა და რეაბილიტირდება წყალმომარაგების ქსელი)შესრულებული სამუშაოები გააუმჯობესებს მოსახლეობის წყლით მომარაგებას. რეაბილიტირებული წყალმომარაგების სისტემით საერთო ჯამში ისარგებლებს 2150 ადგილობრივი მოსახლე, მათ შორის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში 480, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში 590, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში 560 და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში 520 ადგილობრივი მცხოვრები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<i>წყლის სისტემის ექსპლუატაცია</i>	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		44,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქ ლანჩხუთის გარდა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 1 სამტატო ერთეული და 4 მტატგარეშე თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ხარჯები ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები. შინაარსის ტიპის მიხედვით სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაციის		

	ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		353,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 6500-ზე მეტ სანათ წერტილს, 20000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 180,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; - კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. 2019 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		353,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (180,0 ათასი ლარი).</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		110,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული შენობები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული,		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		124,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებობს ავარიული შენობები რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას, რომელთა ინფრასტრუქტურას არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული შენობების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შენობის რეაბილიტაცია შემდეგ ლოკაციაზე: ჩიბათის და ღრმაღელის ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კუპრეიშვილის და ჟორდანისა ქუჩებზე არსებული მრავალსართულიანი ბინების გადახურვა</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიბათის და ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის შენობები იქნება რეაბილიტირებული, რეაბილიტირებული შენობები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კონფორტული, შენობის რეაბილიტაცია დაიწყო 2018 წელს. საერთო ჯამში 2019 წელს რეაბილიტირებული შენობით ისარგებლებს 2000-მდე ადგილობრივი მცხოვრები.</p> <p>მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გაზრდილი ექსპლოატაციის ვადა</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<i>სასაფლაოების მოვლა-პატრონობა</i>	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 05		78,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობას. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისღელის, მახვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის ღელის სასაფლაო. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 10800 კვ/მეტრს. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული განაშენებულიანი სკვერების დაცვის ღონისძიებებს.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცეღით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას. <p>განყოფილება ასევე ახდეს განაშენებულიანი სკვერების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა (მეველეები და სასაფლაოს ზედამხედველები) ხელფასებიც.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>წლის მანძილზე შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცილება სასაფლაოების ტერიტორიები. ასევე, 24 საათიან რეჟიმში განხორციელდება ქალაქის სკვერების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<i>მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება</i>	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		25,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლების დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება. სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 4 სამტატო ერთეულს(ხელფასი, მიმდინარე ხარჯი), რომელთა მოვალეობაშიც შედის ზემოთმოყვანილი საკითხების ზედამხედველობა.
მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთისა და სოფლების დამაკავშირებელი ტრანსპორტი მთელი წლის განმავლობაში გადაადგილდება შეუფერხებლად

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		394,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდერტებს)		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		0,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის აუცილებლობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია და ახალი ნაპირსამაგრების მოწყობა. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ნაპირსამაგრების მოწყობა შემდეგ ლოკაციებზე: აცანის, ნიგვზიანის და ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულები		
მოსალოდნელი შედეგი	აცანის, ნიგვზიანის და ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწყობილი ნაპირსამაგრები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. სამუშაოები დაიწყო 2018 წელს. 2019 წელს ნაპირსამაგრით ისარგებლებს 250 მოსახლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	0210		748,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც განხილული და შეჯერებული იქნება თვით მოსახლეობასთან		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3501,9 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

<i>ათას ლარში</i>		
<i>პროგრამული კოდი</i>	<i>პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა</i>	<i>2019 წლის პროექტი</i>
04 00	განათლება	3,501.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,500.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.4
04 03	განათლების ღონისძიებები	10.1
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	622.7
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	368.8

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	0401		2 500,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს		

	<p>21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1250-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 100 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1250-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს</p>

